



№ 08-154

1 აგვისტო, 2012 წ.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის  
სამსახურის პოლიტიკური პარტიების  
ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის  
სამსახურის უფროსს,  
ქალბატონ ნათია მოგელაძეს

ქალბატონო ნათია,

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახორციელებს, რისთვისაც პოლიტიკური პარტიების და სხვა პოლიტიკური ძალების ქმედებებს აკვირდება.

მოგახსენებთ, რომ 31 ივლისს კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით (წყარო: <http://ick.ge/ka/articles/11778-2012-07-31-19-49-23.html>) პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ გურჯაანში ერთ-ერთ საარჩევნო ღონისძიებაზე ამომრჩეველს სუფრით გაუმასპინძლდა. ასეთი ქმედება შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ამომრჩევლის მოსყიდვა და საჭიროებს საფუძვლიან მოკვლევას.

საინფორმაციო ცენტრის მასალების თანახმად, პარტიის ლიდერები უარყოფენ ღონისძიების დაფინანსებას და აცხადებენ, რომ სუფრა (ღვინო, ხორცი, კიტრი, პომიდორი, პური) ამომრჩევლების თანხით გაიშალა და პარტიამ მხოლოდ ორგანიზება გაუწია, თუმცა იქ მყოფი ბევრი ადამიანი ამბობს, რომ თავად არაფერი გადაუხდია და პარტიამ დაპატიჟა. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ აღნიშნული ღონისძიება დამსწრეთა მხრიდან აღიქმება, როგორც „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ გამასპინძლება.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლით კი, საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის ან სხვა ქონების გადაცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.


აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, სახეზე იყოს სისხლის სამართლის დანაშაული. გასათვალისწინებელია, რომ ქმედების განმახორციელებელი პირი წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პოლიტიკური გაერთიანებაა, რის გამოც, საარჩევნო მიზნის არსებობა ეჭვგარეშეა.

მოგმართავთ შუამდგომლობით, გაითვალისწინოთ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტი, შეისწავლოთ გარემოებები და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

გთხოვთ, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, ჩვენც მოგვაწოდოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

კეთილი სურვილებით,



ლევან ნატროშვილი

პროექტის მენეჯერი